

მესამე ძალის ინტერვენცია და სეცესიონისტური
მოძრაობების შიდა და გარე განზომილება

გიორგი ჯოხაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტზე
პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტი

კურსის ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჯობაძე, 07.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სეპარატისტული მოძრაობების ორი ძირითადი კატეგორია: ერთ შემთხვევაში სეცესიონისტური ჯგუფი სახელმწიფოსგან დე-ფაქტო და დე-იურე სეცესიას ახერხებს, მაშინ, როდესაც, მეორე შემთხვევაში ეთნიკური ჯგუფების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის წარუმატებლად სრულდება. ნაშრომში განხილულია ორივე ტიპის შემთხვევები და იდენტიფიცირებულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სეცესიონისტური ჯგუფების წარმატება/წარუმატებლობაზე.

ნაშრომი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს თვისებრივ კვლევას. კვლევაში გამოყენებული ძირითადი ტექნიკა თვისებრივი შედარებითი ანალიზია (QCA), რომლის ფარგლებშიც განხილულია ოთხი ძირითადი ქეისი: კოსოვოსა და ბანგლადეშის შემთხვევაში სუბ-ეროვნულმა ჯგუფებმა მოახერხეს დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო კატალონიისა და ჰონგ-კონგის შემთხვევაში სეცესიონისტური ჯგუფების ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ არაეფექტურია.

ზემოხსენებული შემთხვევების შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკურ ჯგუფს სახელმწიფოსგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მიღების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებულია, ვერ უმკლავდება წინააღმდეგობის მოძრაობას და სახელმწიფოს შიდა კონფლიქტში ადგილი აქვს გარე აქტორის (მესამე ძალის) ინტერვენციას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ინსტიტუტები ქმედითი და ფუნქციურია, მასში მესამე ძალის ჩარევა და ეთნიკური ჯგუფის დახმარება ნაკლებად მოსალოდნელია.

საკვანძო სიტყვები: სეცესიონიზმი, ირედენტიზმი, პოსტ-კოლონიალური დამოუკიდებულება, მესამე ძალის ინტერვენცია

Abstract

The following dissertation studies two basic categories of separatist movements: On one occasion, secessionist groups de-facto and de-jure secede from the state, while other secessionist groups do not get the right to independence. The dissertation examines both cases and identifies basic determinants of successful/unsuccessful secession.

The basic methodology of this study is a qualitative research. The main research technique is Qualitative Comparative Analysis (QCA). Within this technique, I have examined four various cases: Kosovo and Bangladesh earned independence, while in Catalonia and Hong-Kong, the fight of separatists against central governments is quite inefficient.

By analyzing the aforementioned cases, I have discovered that secessionist groups have a chance of separation and establish an independent state only if the central government is extremely weak and third-party intervenes in his domestic affairs. When state institutions are functional, external involvement is less hypothetical.

Keywords: Secessionism, Irredentism, Post-colonial dependence, Third-party intervention

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და კონკრეტულად პოლიტიკის მეცნიერებების/საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ნინო ფავლენიშვილს, რომელმაც საკვლევი თემისა და მეთოდოლოგიის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია.